საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

საგანმანათლებლო პროგრამა - ბიოტექნოლოგია

ნინო დუმბაძე

საქართველოს ენდემური მცენარე მთის სვინტრის *(Polygonatum obtusifolium Miscz.)* მანოზა-სპეციფიკური ლექტინის ბიოქიმიური თვისებების, ფიზიოლოგიური როლისა და ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა.

ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

მიმართულება - 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
დარგი/სპეციალობა - 0504 ბიოლოგია/სიცოცხლის
შემსწავლელი მეცნიერებანი

თბილისი
2017 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოტექნოლოგიის მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

1. გიორგი ალექსიძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2. ნუგზარ ალექსიძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები:

1. ნანა კოტრიკაძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2. მადონა ჩაჩუა
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის 10 თებერვალს, 12 საათზე.

საქართველოს საპარტიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, II-კორპუსი, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის აუდიტორია №104.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპარტიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2017 წლის 10 იანვარს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ტექნიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი **თეიმურაზ კივილაძე**

სარჩევი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა.....4
კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები.....5
ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები 6
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.....7
ნაშრომის თეორიული ღირებულება.....8
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.....8
დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.....9

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....9
თავი II. კვლევის ობიექტი და მეთოდები.....9
თავი III. კვლევის შედეგები და მათი განხილვა.....10
დასკვნები.....18
დისერტაციის თემასთან დაკავშირებული
პუბლიკაციების ნუსხა.....20

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

თანამედროვე ბიოლოგიის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს ბიოლოგიური ამოცნობის ფენომენი წარმოადგენს. უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მკვიდრდება აზრი იმის შესახებ, რომ ბიოლოგიური ამოცნობის ფუნქციის მატარებელია გარკვეული ტიპის ნახშირწყლები და მათთან სპეციფიკური დაკავშირების უნარის მქონე ცილები – ლექტინები (A. Pusztai, et all., 2008).

ლექტინები პირველად აRმოჩენილი იქნა მცენარეებში ჯერ კიდევ 1888 წელს. დღეისათვის ასობით მცენარეული ლექტინია გამოყოფილი და ბიოქიმიურად დახასიათებული. ლექტინების უნიკალური თვისების გამო ისინი წარმატებით გამოიყენება ბიოლოგიაში, ბიომედიცინაში, ბიოტექნოლოგიაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და მეცნიერების სხვა სფეროებში, როგორც კვლევის ინსტრუმენტები, აფინური ადსორბენტები სხვადასხვა გლიკოკონიუგატების, უჯრედებისა და ორგანელების გამოსაყოფად; როგორც სპეციფიკური ბიოლოგიური ზონდები მემბრანების ნახშირწყლოვანი ტოპოგრაფიის დასადგენად; აRმოჩნდა, რომ მათ ხშირად ჰორმონული მოქმედების უნარი გააჩნიათ, იწვევენ უჯრედების პროლიფერაციას, გააჩნიათ იმუნოტროპული, ანტიმიკრობული, ანტივირუსული, ანტისიმსივნური მოქმედების უნარი და სხვა (R. Hamid et all., 2010).

მიუხედავად ლექტინების ასეთი ფართო გამოყენებისა, სამწუხაროდ, მათი ფიზიოლოგიური როლი მცენარეებში, საიდანაც ხდება მათი გამოყოფა, ჯერ კიდევ ბუნდოვანი რჩება. თუმცა დღეს არსებული ლიტერატურული მონაცემები მიუთითებენ, რომ ლექტინები უშუალო მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ მცენარისათვის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესებში, როგორიცაა: განაყოფიერება, ზრდა და განვითარება, ნივთიერებათა ტრანსპორტი, ჰორმონების მსგავსი მოქმედება, ფიტოიმუნიტეტი, სიმბიოზი და სხვა (J. M. Van Damme tt all.,2000).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მცენარეულ ობიექტებში ლექტინების გამოვლენა და მათი ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური ფუნქციების შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე

ბიოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, სოფლის მეურნეობის, მედიცინისა მეცნიერებათა სხვა დარგების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოყენებული საქართველოს ენდემური სამკურნალო მცენარე, მთის სვინტრის ***(Polygonatum obtusifolium Miscz.)*** (R. Gagnidze. 2005) ლექტინების ფიზიოლოგიური როლი მცენარის ქსოვილთა უჯრედებში, მოგვეხდინა მისი იდენტიფიკაცია და ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა, რაც ერთის მხრივ გააფრთოვებდა წარმოდგენებს მცენარეული ლექტინების ბიოლოგიური როლის შესახებ და მეორეს მხრივ შექმნიდა წინაპირობას მისი, სოფლის მეურნეობაში, ბიოტექნოლოგიაში, ბიომედიცინაში, მედიცინაში და მეცნიერების სხვა სფეროებში შესაძლო გამოყენების შესახებ.

ამოცანები: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზნის განსახორციელებლად დასმული იქნა შემდეგი კონკრეტული ამოცანები.

- გამოგვევლინა მცენარე სვინტრში ლექტინური აქტივობის მქონე ცილები.
- შეგვესწავლა მათი შემცველობა მცენარე სვინტრის სხადასხვა ორგანოთა ქსოვილებში.
- დაგვედგინა მათი შემცველობის განაწილება მცენარის ფიზიოლოგიური მდგომარეობით მკვეთრად განსხვავებულ სხადასხვა ორგანოთა ქსოვილებში.
- დაგვემუშავებინა მცენარე სვინტრიდან ლექტინის ინდივიდუალური მოლეკულების სახით გამოყოფისა და გასუფთავების მეთოდი.
- შეგვესწავლა ლექტინის ინდივიდუალური მოლეკულის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები.
- მოგვეხდინა ლექტინის ინდივიდუალური მოლეკულის ბიოქიმიური თვისებების შესწავლა.
- შეგვესწავლა სვინტრის ლექტინის ანტიკანცეროგენული აქტიურობა ადამიანის კიბოს უჯრედებზე.

- შეგვესწავლა სვინტრის ლექტინის იმუნომოდულატორული აქტიურობა ადამიანის პერიფერიული სისხლის მონონულეარულ უჯრედებზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდით მანოზა-სპეციფიკური ახალი ლექტინის (SABA-1) იდენტიფიკაცია საქართველოს ენდემური სამკურნალო მცენარე მთის სვინტრიდან *(Polygonatum obtusifolium Miscz.)*, მიღებული მონაცემები მოცემული ლექტინის ფიზიკური-ქიმიური და ბიოქიმიური თვისებების, ფიზიოლოგიური როლისა და მულტი ბიოლოგიური აქტივობების შესახებ. ნაჩვენებია, რომ ლექტინური აქტივობის ცილებს შეიცავს მცენარის მხოლოდ მიწისქვედა ორგანოები (ფესვი, ფესურა და კვირტი). ნაჩვენებია, რომ ლექტინის ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა ფესურა, ხოლო ყველაზე დაბალით კვირტის ქსოვილები. გამოვლენილია, რომ ლექტინის მაღალი შემცველობა ფიქსირდება მცენარის ზრდადამთავრებულ, მოსვენების სტადიაზე მყოფ მიწისქვედა ორგანოთა ქსოვილებში, კერძოდ, შემოდგომის ფესურაში ყველაზე მაღალია ლექტინის შემცველობა და იგი 10-ჯერ აღემატება გაზაფხულის აქტიური ზრდა განვითარების სტადიაზე მყოფ ფესურაში ლექტინის შემცველობას.

დამუშავებულია სვინტრის ფესურადან ლექტინის გამოყოფისა და გასუფთავების ახალი მეთოდი. მოწოდებული მეთოდი საშუალებას იძლევა მიღებული ლექტინი გამოყოფილი იქნას ინდივიდუალური მოლეკულის სახით (გასუფთავების ხარისხი - 789) და მაღალი პემაგლუტინაციური აქტივობით (0.000095 მგ/მლ)

ნაჩვენებია, რომ ანალიზირებული 18 განსხვავებული ტიპის ნახშირწყლებიდან სვინტრის ფესურიდან იზოლირებული ლექტინი სპეციფიკურობას ავლენს მხოლოდ D-მანოზის მიმართ, რაც მიუთითებს, რომ იგი მიეკუთვნება მანოზა-სპეციფიკური ლექტინების კლასს.

მანოზა-სპეციფიკური ლექტინის ფიზიკო-ქიმიური თვისებების შესწავლამ გამოავლინა, რომ მისი ნატიური

მოლეკულის მეოთხეული სტუქტურა წარმოდგენილია დიმერის სახით და მისი მოლეკულური მასა შეესაბამება 30 kDa-ს, შედგება 2 თანაბარი მოლეკულური მასების მქონე სუბერთეულისაგან, არ შეიცავს ნახშირწყლებს და მიეკუთვნება მეროლექტინების კლასს.

მანოზა-სპეციფიკური ლექტინის ბიოქიმიური თვისებების შესწავლის შედეგად, დადგენილ იქნა, რომ ლექტინი თერმოსტაბილურია (ინაქტივირდება 60^0C-ზე) და ხასიათდება მაღალი ჰემაგლუტინაციური აქტივობით. ლექტინური აქტიურობა ვლინდება pH-ის ფართო დიაპაზონში (pH 5.5-დან pH 9.0-მდე) და მაქსიმალური აქტიურობა აღინიშნება pH 7.0-8.0 ფარგლებში, ლექტინის ჰემაგლუტინაციურ აქტიურობაზე გავლენას არ ახდენს ორვალენტიანი მეტალის იონები (Ca^{2+}, Mg^{2+}, Mn^{2+}).

კვლვით სამუშაოებში, სადაც ლექტინის ბიოლოგიური აქტივობის სპექტრი იქნა შესწავლილი ნაჩვენებია, რომ ლექტინ SABA-1-ს გააჩნია კონცენტრაციაზე დამოკიდებული ციტოტოკსიკური აქტიურობა სიმსივნის უჯრედების პირველად კულტურებზე (ადამიანის კანის, ფილტვის, საკვერცხის და სარძევე ჯირკვლის). D-მანოზა იწვევს აღნიშნული ლექტინის ციტოტოკსიკური აქტივობის ინჰიბირებას. ნაჩვენებია, რომ ლექტინი SABA-1 სპეციფიკურად უკავშირდება ადამიანის პერიფერიული სისხლის მონონუკლეალურ უჯრედებს და იწვევს მათ აგლუტინაციას. D-მანოზა სრულად აინჰიბირებს აღნიშნული ლექტინით მონონუკლეარული უჯრედების აგლუტინაციას. დაგენილია, რომ ლექტინ SABA-1-ს გააჩნია კონცენტრაციაზე დამოკიდებული მიტოგენური აქტიურობა ადამიანის პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების მიმართ. ნაჩვენებია, რომ D-მანოზა იწვევს აღნიშნული ლექტინის ციტოტოკსიკური აქტივობის ინჰიბირებას.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენდა ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, ბიოტექნოლოგიის, იმუნოლოგიისა და კანცეროგენეზის კვლევის უახლესი თანამედროვე მეთოდები. კვლევებში გამოყენებული იქნა ცენტრიფუგირების, კოლორიმეტრული, სპექტროფოტომეტრული

მეთოდები; ლექტინური აქტივობისა და უჯრედების აგლუტინაციის განსაზღვრის მიკროტიტრაციის, მიკროსკოპული და ფოტოკოლორიმეტრული მეთოდები; მაღალი წნევის გელფიტ-რაციული ქრომატოგრაფიის, აფინურ სორბენტებზე აფინური ქრომატოგრაფიის მეთოდები; პრეპარატული და ანალიზური ელექტროფორეზი პოლიაკრილამიდის გარდიენტულ გელში; ცილების შემადგენლობაში ნახშირწყლების განსაზღვრა ელექტროფორეზის და შიფის რეაგენტის გამოყენებით; ციტოტოქსიკური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი ადამიანის კიბოს პირველად მოკლევადიან სუსპენზიურ უჯრედთა კულტურებზე, მიტოგენური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი ადამიანის პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების მოკლევადიან სუსპეზიურ კულტურებზე MTT ანალიზისა და მულტისკანის გამოყენებით.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

სადისერტიაციო ნაშრომში წარმოდგენილი შედეგები აღრმავებენ თეორიულ ცოდნას მცენარეული ლექტინების ფიზიოლოგიური როლის შესახებ. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება მცენარეული ლექტინების დამცველობითი ფუნქციების შესახებ. კვლევის შედეგები ქმნის ფუნდამენტს ლექტინების დამცველობითი ფუნქციების საველე პირობებში შესწავლისათვის და სახავს პერსპექტივას, რომ სოფლის მეურნეობაში ისინი გამოყენებულ იქნან, როგორც მცენარეების ანტიმიკრობული ბუნებრივი აგენტები. წარმოდგენილი კვლევის შედეგები აღრმავებს მეცნიერულ ცოდნას ლექტინების ანტისიმსივნური და იმუნოტროპული მოქმედების მოლეკულური მექანიზმების შესახებ.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.

კვლევის შედეგების საფუძველზე წარმოდგენილია მოსაზრებები საქართველოს ენდემური სამკურნალო მცენარე, მთის სვინტრის ***(Polygonatum obtusifolium Miscz.)*** მანოზა-სპეციფიკური ლექტინის ბიოლოგიური როლისა და მულტი-ბიოლოგიური აქტივობების შესახებ. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლექტინ SABA-1-ს მცენარე სვინტრში გააჩნია დამცველობითი როლი, რომ ლექტინი SABA-1 შესაძლოა

გამოყენებულ იქნას ონკოლოგიასა და იმუნოლოგიაში როგორც სადიაგნოსტიკო და კვლევის საშუალება და არსებობს პერსპექტივა იმისა, რომ კლინიკურ მედიცინაში ლექტინი SABA-1 დაინერგოს, როგორც ანტიკანცეროგეული და იმუნოტროპული სამკურნალო პრეპარატი.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.

დისერტაცია მოიცავს: შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის ობიექტს და მეთოდებს, კვლევის შედეგებს და განხილვას, დასკვნებს, გამოყენებული ლიტერატურის სიას (151 წყარო). იგი ილუსტრირებულია 10 ცხრილით და 22 სურათით. ნაშრომის მოცულობა 117 გვერდია.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილია მცენარეული ლექტინების ისტორიული მიმოხილვა და განმარტება, ლექტინების კლასიფიკაცია. განხულულია ლექტინების ბიოქიმიური თვისებები, ლექტინების სპეციფიკურობა ნახშირწყლების მიმართ, ლექტინების გავრცელება მცენარეებში, მათი განაწილება მცენარეთა ორგანოებსა და ქსოვილებში და მათი შემცველობის დინამიკა. წარმოდგენილია ლიტერატურული მონაცემები და სხვადასხვა კონცეფციები მცენარეებში ლექტინების ფიზიოლოგიური როლის შესახებ. განხილულია ლექტინების როლი მცენარის ზრდა-განვითარების, მცენარეთა განაყოფიერების, მცენარეთა დაცვის, სიმბიოზის, ნახშირწყლების ტრანსპორტისა და დაგროვების პროცესებში. განხილულია ლექტინების გამოყენების სფეროები მეცნიერების სხდახვა დარგებში. წარმოდგენილია კვლევის შედეგები ლექტინების ანტისიმსივნური და იმუნომოდულატორული აქტივობის შესახებ.

თავი II. კვლევის ობიექტი და მეთოდები

კვლევის ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომში კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოყენებული საქართველოს ენდემური სამკურნალო მცენარე, მთის სვინტრი ***(Polygonatum obtusifolium Miscz.)***. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ სვინტრი ფართოდ გამოიყენება

ადამიანის მრავალი დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის მიზნით. ექსპერიმენტებში გამოყენებული იქნა სვინტრის როგორც მიწისზედა (ღერო, ფოთოლი, კვირტი, ყვავილი და თესლები) ასევე მიწისქვეშა ნაწილები (ფესურა, ფესვი და დამატებითი კვირტები).

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია ბიოქიმიური, მცენარეთა ფიზიოლოგიის, იმუნოლოგიისა და ადამიანის უჯრედთა სუსპენზიური კულტურების თანამედროვე მეთოდები და ხელსაწყო-დანადგარები. შემუშავებულია ლექტინის გამოყოფისა და გასუფთავების მეთოდი, სადაც გამოყენებული იქნა ექსტრაქციის, ფილტრაციის, ულტრა და სტერილიზაციური ფილტრაციის, ცენტრიფუგირების, ამონიუმის სულფატით ფრაქციონირების, მაღალი წნევის, თხევადი ქრომატოგრფიისა და აფინური ქრომატოგრაფიის მეთოდები.

ლექტინის ფიზიკურ-ქიმიური დახასიათების მიზნით გამოყენებულია მაღალი წნევის გელ-ფილტრაციული ქრომატოგრაფიის, ნატიური და დისოცირებულ პირობებში ცილების გრადიენტული ელექტროფორეზის, შაქრების მიმართ სპეციფიკურობის დადგენის ტაკაჩისა და სხვა მეთოდები. ლექტინის შემცველობას, აქტიურობასა და სპეციფიკურ აქტიურობას ვსაზღვრავდით სამი განსხვავებული მეთოდით: ტაკაჩის მეთოდით (ვიზუალურად იმულოგიურ პლანშეტებზე), ჩვენს მიერ შემუშავებული ფოტოკოლორიმეტრული მეთოდით და სინათლის მიკროსკოპის გამოყენებით. ადამიანის კიბოსა და პერიფერიული სისხლის მონონუკლელურ უჯრედებს ვღებულობდით ჯანმრთელი და სიმსივნით დაავადებული დონორებიდან შესაბამისი სადიაგნოსტიკო დოკუმენტაციის თანხლებით. ციტოტოკსიკურ და მიტოგენურ აქტიურობას ვსაზღვრვდით in vitro ექსპერიმენტებში მოკლევადიან უჯრედთა სუსპენზიურ კულტურებზე MTT-მეთოდისა და მულტისკანის გამოყენებით.

კვლევის შედეგებს ვამუშავებდით სტატისტიკურად სტიუდენტის კრიტერიუმის გამოყენებით.

თავი 3. კვლევის შედეგები და მათი განხილვა

კვლევის პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა ლექტინის შემცველობა სვინტრის მიწისზედა (ღერო, ფოთოლი, ყვავილი) და მიწისქვეშა (ფესვი, ფესურა და კვირტი) ნაწილებში. კვლევის შედეგებმა გამოავლინეს, რომ ლექტინური აქტივობის ცილებს შეიცავდა მხოლოდ სვინტრის მიწისქვეშა ნაწილები (ფესვი, ფესურა, დამატებითი კვირტი).

კვლევის მეორე ეტაპზე ექსპერიმენტებში შესწავლილ იქნა მცენარე სვინტრის, ფიზიოლოგიური მდგომარეობით მკვეთრად განსხვავებული (გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოპოვებული), მზარდ და ზრდადსრულებულ მიწისქვედა ორგანოებში (ფესვი, ფესურა და დამატებითი კვირტი) მანოზა-სპეციფიკური ლექტინის (SABA-1) შემცველობა და განაწილება. ასეთ მიდგომას უნდა გამოევლინა, ლექტინის ბიოლოგიურ ფუნქციასთან მიმართებით, ახალი კანონზომიერებები.



სურ.1. ლექტინების შემცველობა მზარდ და ზრდადასრულებულ (გაზახულისა და შემოდგომის) სვინტრის მიწისქვეშა ნაწილებში.

როგორც სურათიდან ჩანს, შემოდგომის ფესურაში ყველაზე მაღალია ლექტინის შემცველობა და იგი 10-ჯერ აღემატება გაზაფხულის ფესურაში ლექტინის შემცველობას.

კვლევის შემდეგ ეტაპზე შემუშავებული იქნა სვინტრის ფესურიდან ლექტინ SABA–1-ის გამოყოფისა და გასუფთავების მეთოდი. გასუფთავების ყოველ ეტაპზე ისზღვრებოდა ა ცილოვანი

ფრაქციების ჰემაგლუტინაციური აქტიურობა და ლექტინ SABA – 1-ის გასუფთავების ხარისხი. სვინტრის ფესურის ლექტინის გასუფთავების ძირითადი ეტაპები მოიცავდა 7 სტადიას: 1. ფესურიდან ცილოვანი ექსტრაქტის მიღება: 2. ქრომატოგრაფია Toyopearl HW-55 -ის სვეტზე; 3. სვეტიდან ელუირებული SABA–1-ის შემცველი ცილების ფრაქციონირება ამოინიუმის სულფატით; 4. თერმული დამუშავება +60^{0}C-ზე 30 წთ-ის განმავლობაში. 5. აცეტონით დამუშავება, 6. ქრომატოგრაფია Toyopearl HW-55 -ის სვეტზე; 7. აფინური ქრომატოგრაფია.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით სვინტრის ფესურის უხეში ექსტრაქტიდან მიღებული იქნა ლექტინ SABA–1 ინდივიდუალური მოლეკულების სახით და გასუფთავების ხარისხმა შეადგენდა 789.

კვლევის შემდგომ ეტაპზე შეწავლილ იქნა ლექტინ SABA-1-ის ბიოქიმიური თვისებები და მახასიათებლები.

ცდების სპეციალურ სერიებში შევისწავლეთ ლექტინ SABA-1-ის სპეციფიკურობა სხვადასხვა ტიპის ნახშირწყლების მიმართ:Gგალაქტოზა, მეთილ-გალაქტოზა, D-მანოზა, D-გლუკოზა, რამნოზა, N-აცეტილ-D-გლუკოზამინი, გალაქტურონის მჟავა, ფრუქტოზა, ინოზიტი, არაბინოზა, რიბოზა, მელიბიოზა, ლაქტოზა, ცელობიოზა, საქაროზა, რაფინოზა და α-მეთილ-მანოპირანოზიდი. აღნიშნული 18 ნახშირწყლის ანალიზის შედეგად დაგენილ იქნა, რომ SABA-1-ის ჰემგლუტინაციურ აქტიურობას თრგუნავდა მხოლოდ D-მანოზა და α-მეთილ-მანოპირანოზიდი, მინიმალური კონცენტრაციით 50 და 25 mM შესაბამისად.

კვლევის შემდგომ სერიებში, მაღალი წნევის გელ-ფილტრაციის ქრომატოგრაფიული მეთოდისა და საკალიბრო სტანდარტული ცილების (მარკერების) გამოყენებით, დაგენილ იქნა აფინურად გასუფთავებული SABA-1-ის ინდივიდუალური, ნატიური მოლეკულური მასა. საკალიბრო მრუდის გათვლების მიხედით დადგენილი იქნა, რომ ნატიური SABA–1-ის მოლეკულური მასა შეადგენდა 30 000 Da.

SABA-1-ის მეოთხეული სტრუქტურის დასადგენად, ცდების შემდგომ ეტაპზე, ვახდენდით ნატიური SABA-1 მოლეკულების დენატურაციას ნატრიუმის დოდეცილსულფატის თანაობისას

(SDS) და მის ელექტროფორეზს პოლიაკრილამიდის გელში (სურ.2).



სურ.2. ლექტინი SABA–1-ისა და სტანდარტული მარკერული ცილების ელექტროფორეგრამა. ელექტროფორეზი დისოცოაციის პირობებში (SDS-თანაობისას) პოლიაკრილამიდის გრადიენტულ გელში (10-25%).

1. მარკერები, მოლეკულური წონების დიაპაზონია: 14 000–70 000 Da, გელში ჩატვირთული სინჯების მოცულობაა 1-10 მკლ. (ხარის შრატის ალბუმინი- 66 000; ოვალბუმინი-45 000; პეპსინი-34 700; ტრიფსინოგენი -24 000; β-ლაქტოგლობულინი -20 100; ლიზოციმი-14 200).
2. ლექტინი SABA-1, აფინური ქრომატოგრაფიით გასუფთავებული.
3. Toyopearl HW-55 სვეტზე გელფილტრაციული ქრომატოგრაფიის შედეგად მიღებული ლექტინ SABA-ის შემცველი ცილების ფრაქცია.

ელექტროფორეგრამაზე ტრეკი 2 გვიჩვენებს, რომ აფინური ქრომატოგრაფიის შედეგად გასუფთავებული SABA-1, დისოცირებულ პირობებში მიგრირებს ერთი კომპაქტური ზოლით, რაც ადასტურებს, რომ იგი წარმოადგენს გასუფთავების შედეგად მიღებულ SABA-1-ის ინდივიდულარ პოლიპეპტიდებს თანაბარი მოლეკულური მასებით.

Log.Mol.Weight



Rf

სურ.3. ლექტინ SABA-1-ისა და სტანდარტული მარკერული ცილების ელექტროფორეგრამის მიხედვით აგებული საკალიბრო მრუდი.

სურ.3-ზე წარმოდგენილი საკალიბრო მრუდის სასუალებით დაგენილ იქნა, რომ ლექტინ SABA-1-ის შემადგენელი სუბერთეულების მოლეკულური მასა თანაბარია და შეადგენდა 15.000 Da. ამრიგად გელფილტრაციისა და ელექტროფორეზის მეთოდების გამოყენებით ნაჩვენები იქნა, რომ SABA-1-ის ნატიური მოლეკულის მასა 30 000 Da-ია და შედგება ორი თანაბარი, 15 000 Da მოლეკულური მასის მქონე, პოლიპეპტიდური სუბერთეულისაგან, შესაბამისად მისი მეოთხეული სტრუქტურა წარმოდგენილია ჰომოდიმერის სახით და მიეკუთვნება ჰოლოლექტინების კლასს.

სპეციალურ ექსპერიმენტებში შესწავლილი იქნა, ლექტინ SABA-1-ის გავლენა ადამიანის ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედებზე. კერძოდ, შესწავლილი იქნა ლექტინ SABA-1-ის ციტოტოქსიკური მოქმედება სიმსივნური უჯრედების პირველად მოკლევადიან სუსპენზიურ კულტურებში. როგორც ცხრილ 1-სა და სურ. 4 -ზე წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ ლექტინ SABA-1-ს გააჩნია კარგად გამოხატული ციტოტოკსიკური აქტიურობა, შესწავლილ (ადამიანის კანის, ფილტვის, საკვერცხისა და სარძევე ჯირკვლის) სიმსივნური უჯრედების პირველად

კულტურებზე. შედეგები თვალნათლივ მიუთითებენ, რომ აღინიშნებოდა პირდაპირი დადებითი კორელაცია ლექტინის მზარდ კონცენტრაციასა და მის ციტოტოქსიკურ აქტიურობას შორის. როგორც ცხრილი 4-დან ჩანს SABA-1-ის მაქსიმალური ციტოქსიკური ეფექტი კანის, საკვერცხის, ფილტვისა და სარძევე ჯირკვლის კიბოს უჯრედების მიმართ ფიქსირდება მისი 100 მკგ/მლ კონცენტრაციისას და შეადგენს 72, 60, 63 და 68%-ს შესაბამისად.

ცხრილი 1.

ლექტინი SABA-1-ის ციტოტოკსიკური ეფექტი ადამიანის კანის, ფილტვის, საკვერცხის და მკერდის სიმსივნური ქსოვილებიდან მიღებულ კიბოს უჯრედების 48 საათიან სუსპენზიურ კულტურებზე.

სიმსივნის ტიპები	**SABA-1 µg/ml**	**0**	**10**	**50**	**100**	**SABA-1+ D-მანოზა (400 mM)**
კანის	AV	0.326	0.283	0.166	0.091	0.320
	NC(%)	100	87	51	28	100
	GI (%)	***0***	***13***	***49***	***72***	***0***
საკვერცხის	AV	0.318	0.218	0.176	0.130	0.315
	NC(%)	100	67	54	40	100
	GI (%)	***0***	***33***	***46***	***60***	***0***
ფილტვის	AV	0.328	0.277	0.179	0.121	0.329
	NC(%)	100	85	55	37	100
	GI (%)	***0***	***15***	***45***	***63***	***0***
სარძევე ჯირკვლის	AV	0.322	0.261	0.192	0.104	0.321
	NC(%)	100	80	59	32	100
	GI (%)	***0***	***20***	***41***	***68***	***0***

$p<0.01$

AV - საშუალო სიდიდე (შთანთქმის ინდექსის სამჯერადი გაზომვის საშუალო მაჩვენებელი).

NC(%) - უჯრედების რაოდენობა (% კონტროლიდან).

GI (%) - ზრდის ინჰიბირება %-ში.

ცდების შემდგომ სერიებში შეწავლილი იქნა D-მანოზის გავლენა SABA-1-ის ციტოტოკსიკურ აქტიურობაზე. როგორც ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, SABA-1-ის ინკუბაცია D-მანოზასთან სრულად აინჰიბირებდა აღნიშნული ლექტინის ციტოტოკსიკურ აქტიურობას. მიღებული შედეგები მიუთითებენ, რომ SABA-1-ის ციტოტოქსიკური ეფექტი კიბოს უჯრედებზე, განპირობებული უნდა იყოს მისი სპეციფიკური ურთიერთქმედებით კიბოს უჯრედების ზედაპირზე არსებული D-მანოზის შემცველ მემბრანულ რეცეპტორებთან და აპოპტოზური (თვითგანადგურების) მაინდუცირებელი სიგნალის გადაცემით.

შემდგომ ექსპერიმენტებში ნაჩვენები იქნა ლექტინ SABA-1-ისა და ლობიოს ლექტინის გავლენა პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების პროლიფერაციაზე. როგორც სურ.4 - დან ჩანს, კონტროლთან შედარებით ლექტინ SABA-1-ს გააჩნია მკვეთრად გამოხატული მიტოგენური აქტიურობა. წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ SABA-1-ის მიტოგენური აქტიურობა, ისევე როგორც ლობიოს ლექტინის შემთხვევაში, დამოკიდებულია კონცენტრაციაზე და ეს დამოკიდებულება გამოიხატება მათ დადებით კორელაციაში.



სურ 4. ლექტინ SABA-1-ის სხადახვაა კონცენტრაციის გავლენა ადამიანის პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების პროლიფერციაზე.

როგორც სურ.5-იდან ჩანს SABA-1-ის 100 მკგ/მლ კონცენტრაცით მოქმედების შედეგად გამოწვეული ლიმფოციტების პროლიფერაციული აქტიურობა (15-ჯერ) აღემატება კონტროლებს ((1)-ლიმფოციტები და (4)-ლიმფოციტები + D-მანოზა). ნაჩვენებია ასევე, რომ SABA-1-ის ინკუბაცია D-მანოზასთან, სრულად აინჰიბირებს აღნიშნული ლექტინის მიტოგენურ აქტიურობას.



სურ.5. D-მანოზა -ის გავლენა SABA-1-ის პროლიფერაციურ აქტიურობაზე.

1.კონტროლი (ლიმფოციტები ლექტინის გარეშე)
2.საცდელი (ლიმფოციტები + ლექტინი SABA-1)
3.საცდელი (ლიმფოციტები + ლექტინი SABA-1+ D-მანოზა)
4.კონტროლი (ლიფოციტები + D-მანოზა)

ამრიგად, მიღებული მონაცემები მოწმობენ, რომ ლექტინ SABA-1 გააჩნია მკვეთრად გამოხატული მიტოგენური აქტიურობა ადამიანის მონონუკლეარული უჯრედების მიმართ.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე შემოთავაზებულია მოსაზრება ლექტინი SABA-1-ის დამცველობითი როლის შესახებ მცენარე სვინტრში და მისი ბუნებრივ ანტიმიკრობულ საშუალებად გამოყენების პერსპექტივის შესახებ. ასევე გამოთქმულია მოსაზრება SABA-1-ის

ონკოლოგიაში და იმუნოლოგიაში სადიაგნოსტიკო და კვლევის საშუალებად გამოყენების და მომავალში კლინიკურ მედიცინაში ანტიკანცეროგეული და იმუნოტროპული სამკურნალო პრეპარატად დანერგვის პერსპექტივის შესახებ.

დასკვნები

1. დადგენილია სვინტრის ორგანოებიდან ლექტინების საექტრაქციო ხსნარის ოპტიმალური შემადგენლობა (0,9% NaCl, 40mM K^+-ფოსფატის ბუფერი, pH 7.4, 0,1% β-მერკაპტოეთანოლამინი).
2. სამი განსხვავებული მეთოდით (მიკროსკოპული, პლანშეტზე მიკროტიტრაციისა და ფოტოკოლორიმეტრული) გამოვლენილია სვინტრის ლექტინის უნარი გამოიწვიოს ბოცვრის ტრიფსინიზირებული ერითროციტების, ადამიანის სხადასხვა ტიპის კიბოს უჯრედების აგლუტინაცია. დადგენილია, რომ ლექტინი არ იწვევეს ადამიანის სისხლის I(0); II(A); III(B) და IV(AB) ჯგუფის ნატიური ერითროციტების აგლუტინაციას.
3. შესწავლილია ლექტინების შემცველობა სვინტრის მიწისზედა (ღერო, ფოთოლი, ყვავილი, თესლი) და მიწისქვეშა (ფესვი, ფესურა, დამატებითი კვირტი) ორგანოებში. ნაჩვენებია, რომ ლექტინური აქტივობის ცილებს შეიცავს მცენარის მხოლოდ მიწისქვედა ორგანოთა ქსოვილები (ფესვი, ფესურა და დამატებითი კვირტი).
4. ნაჩვენებია, რომ ლექტინების ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა მცენარის შემოდგომის, მოსვენების მდგომარეობაში მყოფი, ფესურა.
5. დამუშავებულია სვინტრის ფესურადან ლექტინის გამოყოფისა და გასუფთავების მეთოდი, რომელიც მოიცავს 7 სტადიას: 1). ფესურიდან ცილოვანი ექსტრაქტის მიღება: 2). ქრომატოგრაფია Toyopearl HW-55 -ის სვეტზე; 3). სვეტიდან ელუირებული SABA – 1 -ის შემცველი ცილების ფრაქციონირება ამოინიუმის სულფატით; 4). თერმული დამუშავება +60^{0}C-ზე 30 წთ-ის განმავლობაში. 5). აცეტონით დამუშავება, 6). ქრომატოგრაფია Toyopearl HW-55 -ის სვეტზე; 7). აფინური ქრომატოგრაფია გლუტარალდეჰიდით ფიქსირებულ ერითროციტების სვეტზე. მოწოდებული მეთოდი საშუალებას იძლევა მიღებული ლექტინი გამოყოფილი იქნას

ინდივიდუალური მოლეკულის სახით (გასუფთავების ხარისხი - 789) და მაღალი ჰემაგლუტინაციური აქტივობით (0.000095 მგ/მლ).

6. ანალიზირებული 18 განსხვავებული ტიპის ნახშირწყლებიდან სვინტრის ფესურიდან იზოლირებული ლექტინი სპეციფიკურობას ავლენდა მხოლოდ D-მანოზის მიმართ. რაც მიუთითებს, რომ იგი მიეკუთვნება მანოზა-სპეციფიკური ლექტინების კლასს.

7. ლექტინ SABA–1-ის ფიზიკო-ქიმიური თვისებების შესწავლის შედეგად დაგენილ იქნა, რომ მისი ნატიური მოლეკულის მეოთხეული სტუქტურა წარმოდგენილია დიმერის სახით და მისი მოლეკულური მასა შეესაბამება 30 kDa-ს, შედგება 2 თანაბარი მოლეკულური მასის მქონე სუბერთეულისაგან, არ შეიცავს ნახშირწყლებს და მიეკუთვნება მეროლექტინების კლასს.

8. ლექტინ SABA–1-ის ბიოქიმიური თვისებების შესწავლის შედეგად, დადგენილ იქნა, რომ ლექტინი თერმოსტაბილურია (ინაქტივირდება 60^0C-ზე) და ხასიათდება მაღალი ჰემაგლუტინაციური აქტივობით. ლექტინური აქტიურობა ვლინდება pH-ის ფართო დიაპაზონში (pH 5.5-დან pH 9.0-მდე) და მაქსიმალური აქტიურობა აღინიშნება pH7.0-8.0 დიაპაზონში, ლექტინის ჰემაგლუტინაციურ აქტიურობაზე გავლენას არ ახდენს ორვალენტიანი მეტალის იონები (Ca^{2+}, Mg^{2+}, Mn^{2+}).

9. ნაჩვენებია, რომ ლექტინი SABA-1 სპეციფიკურად უკავშირდება ადამიანის სიმსივნის უჯრედებს და იწვევს მათ აგლუტინაციას. D-მანოზა სრულად აინჰიბირებს აღნიშნული ლექტინით სიმსივნური უჯრედების აგლუტინაციას.

10. ლექტინ SABA-1-ს გააჩნია კონცენტრაციაზე დამოკიდებული ციტოტოკსიკური აქტიურობა სიმსივნის უჯრედების პირველად კულტურებზე (ადამიანის კანის, საკვერცხის, ფილტვისა და სარძევე ჯირკვლის). D-მანოზა იწვევს აღნიშნული ლექტინის ციტოტოკსიკური აქტივობის ინჰიბირებას.

11. დაგენილია, რომ ლექტინ SABA-1-ს გააჩნია კონცენტრაციაზე დამოკიდებული მიტოგენური აქტიურობა ადამიანის პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების მიმართ. ნაჩვენებია, რომ D-მანოზა იწვევს აღნიშნული ლექტინის მიტოგენური აქტივობის ინჰიბირებას.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

1. Nino Dumbadze, Nugzar Aleksidze, Giorgi Alexidze. Isolation and Biochemical Characterization of Mannose-Specific Lectin from Georgian Endemic Plant *Polygonatum obtusifolium* Miscz. Rhizomes. Bulletin of the Georgian national academy of sciens, vol. 6, no. 2, 2012.
2. Nino Dumbadze, Nugzar Aleksidze, Giorgi Alexidze. Distribution of Mannose-specific Lectin in Physiologically Distinct Parts of the Plant Mountainous Solomon's Seal (*Polygonatum obtusifolium* Miscz. ex Grossh.). Bulletin of the Georgian national academy of sciens, vol. 8, no. 2, 2014.
3. Nino Dumbadze, Nugzar Aleksidze, Giorgi Alexidze. Anticancerogenic Activity of the Polygonatum Mannose-Specific lectin Isolated From Georgian Endemic Mountain Plant *Polygonatum obtusifolium Miscz*. Rhizomes. Bulletin of the Georgian national academy of sciens, vol. 10, no. 1, 2016.
4. Nino Dumbadze, Nugzar Aleksidze, Giorgi Alexidze. Purification and Characterization of Mannose-Specific Lectin Isolated from the Rhizomes of Georgian Endemic Plant *Polygonatum obtusifolium Miscz.* (ბეჭდვაშია).
5. G. Alexidze, N. Dumbadze, N. Aleksidze. Purification and Characterization of Novel Lectin from the Georgian Endemic Plant *Polygonatum obtusifolium Miscz*. with Anticancer Activity. Horizons in Cancer Research. (ბეჭდვაშია).
6. ნინო დუმბაძე, გიორგი ალექსიძე., მცენარე სვინტრის (*Polygonatum obtusifolium Miscz.*) ფესურიდან მანოზა-სპეციფიკური ლექტინის გამოყოფა გასუფთავება და ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება. **სამეცნიერო კონფერენცია** - „ბიოლოგიისა და ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები", 31 მაისი, 2012, გვ.14.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

Грузинский университет имени Святого Андрея
Первозванного при Патриархии Грузии

На правах рукописи

Школа (факультет) информатики, математики и естественных наук

Образовательная программа - Биотехнология

Нино Думбадзе

Изучение биохимических свойств, физиологической роли и биологической активности манноза-специфического лектина эндемического растения Грузии горной купены (*Polygonatum obtusifolium Miscz.*)

Диссертационный вестник

труда, представленного на соискание
академической степени доктора биологии

Направление - 05 Природоведческие науки
Отрасль/специальность - 0504 Биология/Науки, изучающие жизнь

Тбилиси
2017 год

Диссертационная работа выполнена в Грузинском университете имени Святого Андрея Первозванного при Патриархии Грузии, факультета информатики, математики и естественных наук

Научный руководитель: 1. **Георгий Алексидзе**
доктор биологических наук, профессор
2. **Нугзар Алексидзе**
доктор биологических наук, профессор

Официальные оппоненты: **1.Нана Котрикадзе**
доктор биологических наук, профессор
2.Мадона Чачуа
академический доктор биологических наук

Защита диссертации состоится 10 февралья 2017 года в 12 часов, на заседании Диссертационной комиссии Школы (факультета) информатики, математики и естественных наук Грузинского университета имени Святого Андрея Первозванного при Патриархии, Грузии.

Адрес: 0162, Тбилиси, Илья Чавчавадзе №53[a], аудитория им. И.Векуа №104.

Вы можете ознакомиться с диссертацией в Научной библиотеке Грузинского университета имени Святого Андрея Первозванного при Патриархии Грузии

Диссертационный вестник был разослан 10 января 2017 г.

Учёный Секретарь Диссертационного совета,

академический доктор технических наук Теймураз Кивиладзе

Оглавление

Общая характеристика труда

Актуальность темы..... 24
Основная цель и задачи исследования.....25
Научная новизна труда и основные результаты.....26
Теоретические и методологические основы исследования.....27
Теоретическая ценность труда.....28
Практическая ценность труда.....28
Объем и структура диссертации.....28

Основное содержание труда

Глава I. Обзор литературы.....29
Глава II. Объект и методы исследования.....29
Глава III. Результаты исследования и их обсуждение.....30
Заключение.....37
Перечень публикаций, связанных с темой диссертации.....40

Общая характеристика труда

Актуальность темы.

Одним из центральных вопросов современной биологии является феномен биологического распознавания. В научной литературе все более укрепляятся мнение о том, что носителями этой функции являются углеводы определенного типа и белки, имеющие способность специфического связывания с ними – лектины (A. Pusztai, et all., 2008).

